გაიგე მეტი

# ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების

შესახებ

დარეგისტრირდი

**VET.EMIS.GE**

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული
უნარების
სააგენტო

## რა არის ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები?

2020 წლიდან, თითქმის 15 წლიანი საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის შემდეგ, პროფესიულ განათლებაში განხორციელდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის, კერძოდ მე-10, მე-11 და მე-12 კლასების სასწავლო პროგრამის წარმატებული ინტეგრირება, რამაც ქვეყანაში გააჩინა საბაზო განათლების შემდეგ სრული ზოგადი განათლების მიღების სრულფასოვანი, ალტერნატიული გზა.

## რა შესაძლებლობებს გაძლევთ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები?

ეს არის სრულყოფილი ალტერნატიული გზა სრული ზოგადი განათლების მისაღებად, სადაც შეგიძლიათ:

- დაეუფლოთ პრაქტიკაზე დაფუძნებულ ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს;
- მიიღოთ სწავლის სახელმწიფო დაფინანსება;
- სამწლიანი სწავლის დასრულების შემდგომ მიიღოთ სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი;
- სწავლა განაგრძოთ უმაღლესი განათლების საფეხურზე.

## ვის შეუძლია ჩაბარება ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე და სად?

- ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე ჩაბარება შეუძლია საბაზო (9 კლასის) ზოგადი განათლების მქონე ყველა პირს;
- ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში.

## შეგიძლიათ დაეუფლოთ ისეთ მოთხოვნად პროფესიებს, როგორებიცაა:

- გრაფიკული დიზაინი
- ლოგისტიკა
- ვებტექნოლოგიები
- ელექტროობა
- სასტუმრო მომსახურება
- სარესტორნო მომსახურება
- აგრომექანიზაცია
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- მებაღეობა
- და სხვა

## როგორ შეგიძლიათ ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია?

ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია შეგიძლიათ საქართველოს მასშტაბით ოცზე მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ამასთანავე, ვებგვერდზე www.vet.emis.ge არაუმეტეს სამ სასურველ პროგრამაზე.

**2023 წლის 22 მაისიდან 10 სექტემბრამდე.**

# ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე სწავლა შესაძლებელია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში!




[პროფესიული უნარების სააგენტო • Skills Agency Georgia]

[skillsagencygeorgia]

[skills agency georgia]